ყვითელი ბარათების და/ან საითინგ კომისრის გაფრთხილებების აკუმულირება

- **სადისციპლინო სამსახური განიხილავს მხოლოდ „ბინძური თამაში“-სთვის მიღებული ყვითელი ბარათების აკუმულირების ფაქტებს.**
- **ბინძური თამაში - რაგბის თამაშის 9.11-დან 9.28 ჩათვლით წესების დარღვევა.**
- **სადისციპლინო სამსახური განიხილავს ყვითელი ბარათების და/ან საითინგ კომისრის გაფრთხილებების აკუმულირების ფაქტებს სრკ-ს მიერ ორგანიზებულ დიდი 10-სა და I ლიგაში.**
- **სადისციპლინო სამსახური წერილობით ატყობინებს მოთამაშეს(მის კლუბს/გუნდს) რომლის მიმართაც დაიწყო ყვითელი ბარათების და/ან საითინგ კომისრის გაფრთხილებების აკუმულირების შემთხვევის შესაბამისი სადისციპლინო პროცესი.**
- **სადისციპლინო სამსახურიდან წერილობითი შეტყობინენის მიღების შემდეგ, მოთამაშე შეზღუდულია თამაშის დროს სათამაშო პერიმეტრში ნებისმიერი აქტივობისგან დისციპლინარული პროცესის დასრულებამდე.**

1. სადისციპლინო პროცესი ორი ყვითელი ბარათის ან ორი საითინგ კომისრის გაფრთხილების და/ან ყვითელი ბარათსა და საითინგ კომისრის გაფრთხილების დროს ერთი თამაშის განმავლობაში.

1.1. სადისციპლინო სამსახური განიხილავს მოთამაშის ქმედებებს რომელიც თამაშის დროს ორი ყვითელი ბარათის გამო იქნა გაძევებული მოედნიდან.

1.2. სადისციპლინო სამსახური განიხილავს მოთამაშის ქმედებებს რომელმაც ერთი თამაშის განმავლობაში მიიღო ორი საითინგ კომისარის გაფრთხილება ან ერთი ყვითელი ბარათი და ერთი საითინგ კომისრის გაფრთხილება.

1.3. სადისციპლინო კომისია, 1.1 და 1.2 პუნქტების მიხედვით დაწყებული სადისციპლინო საქმის განხილვისას, უფლებამოსილია არ დაუჭიროს მხარი რომელიმე და/ან ყველა ყვითელ ბარათ(ებ)ს და/ან საითინგ კომისრის გაფრთხილებას და არ მიმართოს მოთამაშის სანქცირებას თუ:

ა) დააგენს რომ რომელიმე ან ორივე ყვითელი ბარათი და/ან საითინგ კომისრის გაფრთხილება გაცემული იქნა მოთამაშის არასწორი იდენტიფიცირების გამო; ან

ბ) არ ჩათვლის რომელიმე ყვითელ ბარათს და/ან საითინგ კომისრის გაფრთხილებას, ბინძურ თამაშად;

2. სადისციპლინო პროცესი სამი (შვიდკაცა რაგბის ტურნირის დროს ხუთი) ყვითელი ბარათის და/ან საითინგ კომისრის გაფრთხილების აკუმულირების ნებისმიერი სახის ერთობლიობის დროს ერთი და იგივე სათამაშო სეზონის/ტურნირის განმავლობაში.

2.1. სადისციპლინო სამსახური განიხილავს მოთამაშის ქმედებებს, რომელსაც ერთი და იგივე სათამაშო სეზონის/ტურნირის განმავლობაში დაუგროვდა სამი ყვითელი ბარათი ან სამი საითინგ კომისრის გაფრთხილება და/ან სამი ყვითელი ბარათისა და საითინგ კომისრის გაფრთხილების ნებისმიერი სახის ერთობლიობა.

2.2. სრკ-ს მიერ ორგანიზებული ტურნირის/შეჯიბრის ორგანიზატორმა(მენეჯერმა) წერილობით უნდა მიმართოს სადისციპლინო სამსახურს, მიაწოდოს ყველა შესაბამისი დოკუმენტაცია და მასალები, 48 საათის განმავლობაში იმ მატჩის დასრულებიდან, რომლის დროსაც დადგა 2.1 პუნქტით განსაზღვრული გარემოება.

2.3. სადისციპლინო კომისია, 2.1 და 2.2 პუნქტების მიხედვით დაწყებული სადისციპლინო საქმის განხილვისას უფლებამოსილია არ დაუჭიროს მხარი რომელიმე და/ან ყველა ყვითელ ბარათ(ებ)ს და/ან საითინგ კომისრის გაფრთხილებას და არ მიმართოს მოთამაშის სანქცირებას თუ:

ა) დააგენს რომ რომელიმე ~~ან ორივე~~ ყვითელი ბარათი და/ან საითინგ კომისრის გაფრთხილება გაცემული იქნა მოთამაშის არასწორი იდენტიფიცირების გამო; ან

ბ) არ ჩათვლის რომელიმე ყვითელ ბარათს და/ან საითინგ კომისრის გაფრთხილებას, ბინძურ თამაშად;

3. სანქიები

3.1. ორი ყვითელი ბარათის ან ორი საითინგ კომისრის გაფრთხილების და/ან ყვითელი ბარათის და საითინგ კომისრის გაფრთხილების დროს ერთი თამაშის განმავლობაში, მოთამაშის დისკვალიფიკაცია განიხილება **ერთიდან ორ კვირა/თამაშამდე**, დარღვევების სიმძიმის ხასიათიდან გამომდინარე.

3.2. სამი(შვიდკაცა რაგბის ტურნირის დროს ხუთი) ყვითელი ბარათის და/ან საითინგ კომისრის გაფრთხილების აკუმულირების ნებისმიერი სახის ერთობლიობის დროს ერთი და იგივე სათამაშო სეზონის განმავლობაში, მოთამაშის დისკვალიფიკაცია განიხილება **ერთიდან სამ კვირა/თამაშამდე**, დარღვევების სიმძიმის ხასიათიდან გამომდინარე.